საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№40/14 „20“ მაისი 2014 წ.

შ.პ.ს. „არაყიშვილი 18“-ის გენერალურ დირექტორს, ბატონ ალექსანდრე მიქაძეს.

შემოწმება ჩაუტარდა ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დ. არაყიშვილის II ჩიხი №1;3;5-ში მდებარე შენობებს სადაც შ.პ.ს. „არაყიშვილი 18“-ის მიერ დაგეგმილია ახალი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. წარმოდგენილი პროექტის არქიტექტურული ნაწილის მიხედვით, საპროექტო კორპუსი სარდაფის მქონე ექვს სართულიანია. ნაკვეთის მოხაზულობიდან გამომდინარე იგი გეგმაში Г-სებრი ფორმისაა. გენგეგმის მიხედვით საპროექტო შენობა უნდა განთავსდეს დ. არაყიშვილის II ჩიხი №1 და №5 ძველი, ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლების ადგილზე, რომლებიც უნდა დემონტირდნენ. ამასთან ერთად საპროექტო შენობა უშუალო მახლობლობაშია დ. არაყიშვილის II ჩიხი №3 შნობასთან, რომელიც ეკუთვნის მოქალაქე ელიზა ოზბეთელაშვილს. შემოწმების მიზანი მდგომარეობდა დადგენილიყო მიაყენებს თუ არა საპროექტო (შემდეგში კი მშენებარე) საცხოვრებელი კორპუსი ტექნიკურ ზიანს აღნიშნულ ორ სართულიან საცხოვრებელ სახლს.

წარმოდგენილი საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნიდან გამომდინარე (შ.პ.ს. „ახალი საქქალაქმშენპროექტი“) ტერიტორიაზე გავრცელებულია ძირითადი ქანები ნახევრადკლდოვანი, სიმტკიცის ზღვარის მნიშვნელობით ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_C=30კგძ/სმ^2; (ფენა №4); საშუალო სიმტკიცის კლდოვანი, სიმტკიცის ზღვარის მნიშვნელობით ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_C=80კგძ/სმ^2; (ფენა №5); ასეთი ტიპის ფუძეები ფაქტიურად უკუმშვადია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. „მონოლითი“ გაცნობებთ, რომ საპროექტო საცხოვრებელი კორპუსი არ გამოიწვევს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას, დ. არაყიშვილის II ჩიხი №3-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/